მალხაზ მაცაბერიძე

თანამედროვე კავკასია: ჩამოყალიბება, საზღვრები, ადგილი მსოფლიოში

სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა
თემა I

თბილისი
2017

შინაარსი

1. რას ეწოდება კავკასია 4
როდის გაჩნდა ცნება „კავკასია“ 4
როგორ გაჩნდა რუსული გეოგრაფიული ცნება „ზაკავკაზიე“ 5
„კავკასიური რასა“ 5
რატომ იყო მიუღებელი ტერმინი „ზაკავკაზიე“ და „ტრანსკავკასია“.....6
„სამნაწილიანი“ კავკასია.....6
სამხრეთ კავკასია - ცალკე რეგიონი 8
2. თანამედროვე კავკასიის ჩამოყალიბება.....8
თანამედროვე კავკასიის გენეზისი 8
რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა.....9
კავკასიის „გარედან გაერთიანების“ მნიშვნელობა.....10
კავკასია 1917-1921 წლებში.....11
კავკასია საბჭოთა პერიოდში 12
ისტორიული არგუმენტაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990-1991) 13
3. კავკასია ძველი და ახალი რეგიონების კონტექსტში 14
ისტორია: სამხრეთ კავკასია - ახლო აღმოსავლეთის ნაწილი 14
სამხრეთ კავკასია - „ახალი აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი“.....15
სამხრეთ კავკასია და ევრაზიული კავშირი 16
კავკაზიის ცნება.....16
4. თანამედროვე კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 17
დანართი: კავკასია დასავლეთის თვალით 20

კავკასიის გამოცანის ამოხსნა: ორი ახალი წიგნი, რომელიც რეგიონის რთულ ისტორიას განიხილავს 20
თომას დე ვაალი. შეწყვიტეთ დიდი თამაში: კმარა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფად აღქმა 25
საომარი სივრცე: მშვენიერი, ნაომარი რეგიონი.....32
სი-ჯეი ჩივერსი. არასტაბილური კავკასია - ფრთხილი და მშვიდი შეფასება 34

1. რას ეწოდება კავკასია

როდის გაჩნდა ცნება „კავკასია“

კავკასია (რუს. Кавказ; აზერ. Qafqaz; სომხ. Կովկաս) ვრცელი ბუნებრივი რეგიონია შავ, კასპიის და აზოვის ზღვებს შორის. იგი შემოსაზღვრულია კუმა-მანიჩის ღრმულით (ჩრდილოეთი), ირანით და თურქეთით (სამხრეთი), ყუბანის შესართავით (დასავლეთი) და აფშერონის ნახევარკუნძულით (აღმოსავლეთი). დასავლეთით კავკასიას ესაზღვრება შავი ზღვა, აღმოსავლეთიდან - კასპიის ზღვა.

კავკასიის ფართობი დაახლოებით 440 ათასი კვ. კმ-ია, სადაც 30 მლნ ადამიანი ცხოვრობს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი კავკასიონს ჩრდილოეთ კავკასიად (იმიერკავკასიად; ფართობი 250 ათ. კმ^2) და ამიერკავკასიად (ფართობი 190 ათ. კმ^2) ყოფს.

კავკასიის რეგიონი ანუ „კავკასია“, რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ქედის ბერძნულ სახელს „კაუკასოს“ უკავშირდება. თავად ბერძნული „კაუკასოს“ კი ძველი ირანული „კაპკაჰ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდ მთას“ ნიშნავს.

სახელწოდება „კავკასია“ პირველად მოხსენიებულია ძველი ბერძენი დრამატურგის ესქილეს (ძვ. წ. 456-425 სს.) ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“[1]. პრომეთეოსი ბერძნულად „წინასწარმეტყველ ღმერთს“ ნიშნავს. იმის გამო, რომ დაეხმარა ადამიანებს, ციური ცეცხლი უწილადა

---

[1] მითიც მჭიდროდ დაუკავშირდა კავკასიას. კავკასიის ხალხების მითებში არის გმირი, რომელიც ადამიანთა დასაცავად ღმერთების წინააღმდეგ გამოდის. ქართველებისთვის ესაა ამირანი. მრავალი მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ ბერძნებმა პრომეთეს მითი კავკასიის ხალხებისაგან ისესხეს. XX საუკუნეში ჩამოყალიბდა „პრომეთეიზმი“ როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, როგორც რუსეთის ბატონობისგან კავკასიისა და სხვა ხალხების განთავისუფლების პროექტი. ამ მოძრაობას 1920-30-იან წლებში მხარს უჭერდა პოლონეთის პრეზიდენტი იოზეფ პილსუდსკი. პრომეთეიზმი გაიხსენა მიხეილ სააკაშვილმა და 2007 წლის 23 ნოემბერს თბილისში მან და პოლონეთის პრეზიდენტმა კაჩინსკიმ საზეიმოდ გახსნეს პრომეთეს ძეგლი, რომელიც ერთი წლის შემდეგ ბორჯომში გადაიტანეს. პრომეთე, როგორც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო მოძველდა - ეს მოძრაობა პოლონეთის განსაკუთრებულ მხარდაჭერაზე იყო გათვლილი.

მათ, ყაზბეგის მთას მიაჯაჭვეს 30 ათასი წლით და ორბს ღვიძლი უნდა ეკორტნა. მაგრამ 30 წლის შემდეგ ჰერკულესმა, იუპიტერის ვაჟმა მოკლა ორბი და პრომეთე გაათავისუფლა.

კავკასია ფართოდ არის წარმოდგენილი ბერძნულ მითებში. კავკაზოსი იყო მწყემსი, რომელიც ნიფატის მთაზე, მდ. ტიგროსის სათავესთან ცხვარს მწყემსავდა და გზა გადაუღობა სატურნს, რომელიც დამარცხდა თავის შვილ იუპიტერთან. სატურნმა კავკაზოსი ცელის ერთი მოქნევით აჰკაფა, იუპიტერმა კი მის უკვდავსაყოფად მისი სახელი დაარქვა კავკასიის მთების ჯაჭვს.

კავკასია მოიხსენიება ასევე ძველ ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტეს-თან (ძვ. წ. V ს.). ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით, ადგილობრივი მცხოვრებლები კავკასიას უწოდებდნენ კასპიას.

„კავკასიური რასა“

1776 წელს გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ბლუმენბახმა შემოიტანა ტერმინი „კავკასიური რასა“, რომელსაც მისი აზრით ევროპელები მიეკუთვნებოდნენ. ეს ტერმინი დღემდე გამოიყენება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში თეთრკანიანი რასის აღსანიშნავად. ბლუმენბახი კავკასიას თვლიდა თეთრკანიანთა თავდაპირველ საცხოვრებლად და კავკასიის მკვიდრ ხალხებს თვლიდა თეთრკანიანი რასის ყველაზე სუფთა წარმომადგენლებად. კავკასიურ რასას ბლუმენბახი მიაკუთვნებდა ევროპის მცხოვრებლებს (გარდა სამოედების, ლაპლანდიელების, ფინელების, უნგრელების და თურქებისა).

ტერმინს „კავკასიური რასა“ იყენებდა ასევე ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი.

დღემდე Caucasian ინგლისურ ენაში არის თეთრი რასის სტანდარტული აღმნიშვნელი.

როგორ გაჩნდა რუსული გეოგრაფიული ცნება „ზაკავკაზიე“

რუსეთის წინსვლა კავკასიაში ჯერ კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის დაპყრობით შემოიფარგლებოდა. მე-19 საუკუნის დამდეგს კი აღმოსავლეთ საქართველოც დაიპყრეს. რუსეთი თავის მოქმედებას თავიდან „ივერთა მიწების“ დაცვის საბაბით ხსნიდა. შემდეგ სამოქმედო არეალი თანდათან გაფართოვდა და საქართველოთი არ შემოიფარგლებოდა - ამიტომ გაჩნდა ახალი ტერმინი „ზაკავკაზიე“ - მარტი-

ვად რომ ვთქვათ, კავკასიონის ქედს იქით მდებარე მხარე. ეს ტერმინი სადღაც მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან მკვიდრდება და თანდათან ფართოვდება - რუსული „ზაკავკაზიე“ იყო ყველა ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელში მოექცა კავკასიონის სამხრეთით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი - 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელში გადავიდა ყარსის ოლქი, ის კავკასიის ნაწილად ითვლებოდა, ხოლო როდესაც 1921 წელს ყარსი, არდაგანი და ბაიაზეთი რუსეთმა დაკარგა, ისინი კავკასიის შემადგენელ ნაწილებად აღარ განიხილებოდა.

„ზაკავკაზიეს“ ცნების დამკვიდრებას მოჰყვა „ჩრდილოეთ კავკასიის“ ცნების გაჩენაც - კავკასიონის ჩრდილოეთით არსებული ტერიტორიების აღსანიშნავად.

რატომ იყო მიუღებელი ტერმინი „ზაკავკაზიე“ და „ტრანსკავკასია“

მე-20 საუკუნის 90-ანი წლების დამდეგს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ყველგან, რუსეთის გარდა ტერმინი „ზაკავკაზიე“ და „ტრანსკავკასია“ შეიცვალა პოლიტიკურად ნეიტრალური და გეოგრაფიულად უფრო ზუსტი უფრო კორექტული „სამხრეთ კავკასიის” ტერმინით. საქმე ისაა, რომ „ზაკავკაზიე“ და „ტრანსკავკასია“ წარმოადგენდნენ რეგიონის ხედვას ჩრდილოეთიდან, როგორც ჩრდილოეთის დანამატს. ეს კი გაღიზიანებას იწვევდა რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, პირველ რიგში კი საქართველოში. დასავლეთმა „ტრანსკავკასია“ შეცვალა „სამხრეთ კავკასიით“, რუსეთი კი ასე არ მოიქცა.

ტერმინ „სამხრეთ კავკასიის“ დამკვიდრებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მისი საპირისპირო ცნება „ჩრდილოეთ კავკასია“ რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებში უკვე დამკვიდრებული იყო.

„ზაკავკაზიის“ ჩანაცვლებამ „სამხრეთ კავკასიით“ საქართველოში შეამცირა სიტყვა „ამიერკავკასიის“ გამოყენება, არადა ეს წმინდა ქართული ხედვაა და აღნიშნავს სამხრეთ კავკასიას, კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილს კი „იმიერკავკასია“ ეწოდება.

„სამნაწილიანი“ კავკასია

ჩვეულებრივ მიღებულია კავკასიის ორ ნაწილად - ჩრდილოეთათ და სამხრეთად დაყოფა, მაგრამ აზერბაიჯანელი მეცნიერის ელდარ ისმა-

ილოვის აზრით, კავკასია ამით არ ამოიწურება და კავკასიაში უნდა მოვიაზროთ თურქეთისა და ირანის მომიჯნავე ტერიტორიებიც. კერძოდ, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქები (ვილაიეთები - ყარსი, არდაგანი, ართვინი, იგდირი და სხვ.) და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ოსტანები - აღმოსავლეთ აზერბაიჯანი და დასავლეთ აზერბაიჯანი). ელდარ ისმაილოვის თქმით, „აღნიშნული ოლქები რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე მრავალი საუკუნე ერთ სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ არეალში იმყოფებოდნენ, სადაც ამჟამად ძირითადად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რაც საშუალებას გვაძლევს, ისინი ამ ქვეყნების „კავკასიურ“ ოლქებად მივიჩნიოთ, ისევე როგორც რუსეთის კავკასიის რეგიონი (ჩრდილოეთ კავკასია)“.[2]

ისმაილოვი: თურქეთიც და ირანიც სამხრეთ კავკასიაა, ამბობს პროფესორი ელდარ ისმაილოვი: ”კავკასიის ისტორია არ იწყება რუსეთის აქ მოსვლის დროდან. თურქეთი და ირანი ათასი წლით უფრო ადრე იყვნენ კავკასიაში. კავკასიის ხალხები, თურქები და ირანელები ერთად ცხოვრობდნენ, ერთ არეალში იყვნენ. ჩვენი აზრით, როგორც არსებობს რუსული კავკასია, ასევე არის თურქული და ირანული კავკასია. აზერბაიჯანი კავკასიური სახელმწიფოა, 30 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს ირანში, ისინიც ეროვნებით აზერბაიჯანელები არიან. თურქეთში 5 მილიონი ლაზი ცხოვრობს, საქართველოში 4 მილიონი ქართველი, იქ 5 მილიონი ლაზი ცხოვრობს, როგორ შეიძლება?! რუსულ კავკასიას რომ შევხედოთ, იქ არ ცხოვრობენ არც აზერბაიჯანელები, არც ქართველები, მარტო ცხოვრობენ სომხები. ამიტომ ჩვენი აზრით აუცილებელია, რომ ცენტრალური კავკასია იყოს თურქული კავკასია, ირანული და რუსული. რას გვაძლევს ეს? არცერთ ამ ქვეყანას, არც თურქეთს, არც ირანს, არც რუსეთს არ შეეძლება კავკასიაში მონოპოლიურად თავისი ინტერესების განხორციელება. სამნი რომ იქნებიან, ჩვენ სამი ქვეყანა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ვიქნებით ნეიტრალური. რუსები მოვიდნენ კავკასიაში ორი საუკუნის წინ, მანამდე ჩვენ ერთად ვცხოვრობდით.. კავკასიის ისტორია მე-18 საუკუნიდან არ იწყება!”.[3]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს კავკასიის რეგიონის სამნაწილიანი დაყოფის სქემა:

---

[2] ელდარ ისმაილოვი. ცენტრალური კავკასიის ინტეგრაციისა და კონცეფციის შესახებ - წიგნში: ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპავა. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბ., დიოგენე, 2007, გვ.38

[3] ჰგპ://წ წ წ .ამ ერ ძ კ ჰმ ა.ცომ /ცონ ტ ენ ტ/ ცაუკასუ-გეოპოლ ტ/1534551.ჰ ტ ل

ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რუსეთის ფედერაციის საზღვრისპირა ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისაგან შედგება;

ცენტრალური კავკასია, რომელიც სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს - აზერბაიჯანს, საქართველოს და სომხეთს მოიცავს;

სამხრეთ კავკასია - მოიცავს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებს (სამხრეთ დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია).

სამხრეთ კავკასია - ცალკე რეგიონი

როგორადაც არ უნდა გავაფართოვოთ კავკასიის გეოგრაფიული საზღვრები ჩრდილოეთით ან სამხრეთით - რუსეთის, თურქეთის ან ირანის შემადგენლობაში მყოფი რეგიონები ამ ქვეყნების ნაწილებია და მათ რაიმე დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება არ შეუძლიათ. 1990-იან წლებში რუსეთმა გაანადგურა ჩეჩნეთის მცდელობა შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დღეისათვის კავკასიის რეგიონს ქმნის სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო. საქართველოს წლების მანძილზე განიცდის რუსეთის ძლიერ ზეწოლას, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ორი კუთხე - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ოკუპირებულ ტერიტორიებს მოსკოვი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად წარმოაჩენს. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბული ურთიერთობაა თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის გამო

2. თანამედროვე კავკასიის ჩამოყალიბება

თანამედროვე კავკასიის გენეზისი

კავკასიის დღევანდელი გეოპოლიტიკური სურათის გასაგებად მნიშვნელოვანია ისტორიული წარსულის გათვალისწინება. კავკასიის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოითვლის, კავკასიის ტერიტორიაზე მრავალი ხალხი ცხოვრობს და მრავალი სახელმწიფო არსებობდა, კავკასიისთვის ერთმანეთს საუკუნეების მანძილზე უპირისპირდებოდნენ იმპერიები. კავკასიის ისტორიის თუნდაც მოკლე გადმოცემა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ჩვენ უნდა შემოვიფარგლოთ მოკლე განხილვით, თუ როგორ მიიღო კავკასიამ თანამედროვე სახე, როგორ ჩამოყალიბდნენ კავკა-

სიის დღევანდელი პოლიტიკური სუბიექტები და ის საერთაშორისო აქტორები, რომლებიც დღეს კავკასიაში მოქმედებენ.

ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კავკასიის ისტორიული სათავეები მე-17 საუკუნის შუახანებში უნდა ვეძებოთ. ამ დროისათვის უკვე გამოიკვეთა ის სამი რეგიონს გარეთა გეოპოლიტიკური ძალა, რომლებიც და საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ კავკასიაზე გავლენის მოსაპოვებლად. 1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთმა და ირანმა სამხრეთ კავკასია შუაზე გაიყვეს, 1557 წელს კი რუსეთმა, ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის (1552 და 1556 წლები) შემდეგ თერგზე ციხე ჩადგა. რაც შეეხება კავკასიის ქვეყნებს, აქ მეტ-ნაკლებ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ქართული სამეფო-სამთავროები ინარჩუნებდნენ. თანამედროვე აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე მუსლიმური სახანოები არსებობდა, რომლებიც ირანს ემორჩილებოდნენ, ოსმალეთის გაძლიერების პერიოდებში კი მის დაქვემდებარებაში გადადიოდნენ.

რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა

თურქეთს, ირანსა და რუსეთს შორის ბრძოლა კავკასიაში გაბატონებისათვის რუსეთის უპირატესობით წარიმართა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთ-ირანის (1804-1813; 1826-1828 წ.წ.) და რუსეთ-თურქეთის ომების (1806-1812; 1828-1829; 1853-1856; 1877-1878 წ.წ.) შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა მთელი სამხრეთ კავკასია. აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვარი, რომელმაც მაქსიმალურ გაფართოებას 1878 წელს მიაღწია, ითვლებოდა კავკასიის სამხრეთ საზღვრადაც - ყარსის და არდაგანის ოლქები მაშინ კავკასიის ნაწილად ითვლებოდა.

პარალელურად რუსეთი სრულად გაბატონდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც - 1859 წელს მან საბოლოოდ გატეხა აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა, რომელიც შამილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, ხოლო 1864 წელს - დასავლეთ კავკასიის მთიელთა საბოლოო დამარცხებაც შესძლო. ჩერქეზთა დიდი ნაწილი თავის სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. მთელი კავკასია რუსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა.

კავკასიის „გარედან გაერთიანების“ მნიშვნელობა

შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული რეგიონი ათასწლეულების განმავლობაში იყო გეოპოლიტიკური მეტოქეობის არენა. თუმცა კავკასიის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც რეგიონს შიგნით არსებულმა სახელმწიფომ ფაქტობრივად შესძლო თავის გარშემო კავკასიის გაერთიანება. ეს იყო საქართველო მე-12 საუკუნეში.

მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა ნათესაობის თეორიასაც აყალიბებს და ამ დებულებაზე იგი ამყარებს მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის იდეას. ლეონტი მროველის თანახმად, კავკასიაში მცხოვრები ერები წარმოადგენენ ნათესაურად დაკავშირებულ ოჯახს, ჰყავთ ერთი საერთო წინაპარი და, ამის გამო, მართებთ მეგობრობა და საერთო ინტერესით ცხოვრება.

ლეონტი მროველი წერს: "სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა _ ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს". (ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბ., 1955, გვ.4). ლეონტი მროველი არაერთგზის უბრუნდება კავკასიის ხალხთა ერთიანობის საკითხს; მას სურს, რომ ეს იდეა მტკიცედ დაამკვიდროს თანამემამულეთა და მეზობელ ერთა შორის.

ლეონტი მროველი ამზადებს ნიადაგს გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს იდეის დამკვიდრებისათვის. ერთ სახელმწიფოში მოქცეული ეს ერები შექმნიდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას, რომელიც დაუპირისპირდებოდა მეზობელ დიდ სახელმწიფოებს და ეს უკანასკნელნი ვეღარ შეძლებდნენ კავკასიის ხალხთა დაპყრობას. იგი იშველიებს მითოსურ ფაქტებს: კავკასიაში შემოჭრილ ნებროთის მრავალრიცხოვან ჯარს შეეგება კავკასიის ერთიანი ლაშქარი და დაამარცხა.

საქართველოსა და კავკასიის ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდა საქართველოს ამ მცდელობას რომ მარცხი არ განეცადა. შემდგომ პერიოდში კავკასია იქცა არა მხოლოდ გარეშე ძალების დაპირისპირების, არამედ კავკასიაში მცხოვრები ხალხებისა და პოლიტიკური ერთეულების ურთიერთბრძოლის არენადაც.

კავკასია მხოლოდ მე-19 საუკუნის შუახანებიდან აღმოჩნდა ერთი ქვეყნის - რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. კავკასიის ამ "ნეგატიურმა გაერთიანებამ", ანუ ერთი გარეშე ძალის მიერ მთელი კავკასიის დაპყრობამ გარკვეული როლი შეასრულა კავკასიის ხალხების დაახლოების საქმეში. გარდა ამისა, რუსეთის იმპერია ევროპეიზაციის გზაზე იდგა და ეს პროცესი კავკასიის ხალხებსაც მეტ-ნაკლებად შეეხო. კავკასიის ხალხე-

ბი ერთიანი სამართლებრივი სივრცის ფარგლებში მოექცნენ. რუსულმა ენამ ერთაშორისი ურთიერთობების ენის ფუნქცია შეიძინა.

კავკასიის ხალხების დაახლოების საქმეში შეიძლება გამოიყოს კავკასიის მთავარი ქალაქების - თბილისის, ბაქოს და ბათუმის მნიშვნელობა. თბილისი კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, აქ იყო კავკასიის მთავარმართებლის რეზიდენცია, როცა ასეთი სტრუქტურა არსებობდა, ბაქო და ბათუმი კი სამრეწველო ცენტრები.

თბილისი იქცა ცენტრად, სადაც კავკასიის ხალხთა პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, ერთმანეთს ეცნობოდნენ და კონტაქტებს ამყარებდნენ. ბაქოსა და ბათუმში კი სხვადასხვა ეროვნების მუშა ხალხი ხვდებოდა და ეცნობოდა ერთმანეთს. ეს ხელს უწყობდა „საერთო კავკასიური მენტალობის“ (სამხრეთ კავკასიაში მაინც) ფორმირებას. ხდებოდა როგორც დაახლოება, ისე დაპირისპირების ზრდაც. რუსეთის იმპერია ხელს უწყობდა არსებული წინააღმდეგობებების და კონფლიქტების გაღრმავებას.

თავად კავკასიის ცნებაც დღევანდელი გაგებით სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. კავკასიის სამხრეთი საზღვარი რუსეთის იმპერიის საზღვარს მიუყვებოდა ოსმალეთის და ირანის სახელმწიფოებთან.

კავკასია 1917-1921 წლებში

ბოლშევიკების მოსვლამ რუსეთის ხელისუფლების სათავეში (1917 წლის ნოემბერი) და რუსეთში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა კავკასიას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა მისცა. ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ (1918 წლის 5(18) იანვარს) სამხრეთ კავკასიას საკუთარი თავისთვის უნდა მიეხედა. თავიდან სამხრეთ კავკასიაში მოქმედი პოლიტიკური ძალები ერთიანი მმართველობის ორგანიზებას შეეცადნენ. 1918 წლის 10 (23) თებერვალს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. მდგომარეობა იყო რთული. რუსეთის არმია, ბოლშევიკური პროპაგანდის შედეგად ფრონტიდან გაიქცა, თურქეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა, 1918 წლის მარტის დასაწყისში გაფორმებული ბრესტის ზავით კი ბოლშევიკებმა თურქეთს ბათუმი, ყარსი და არდაგანი გადასცეს, რამაც საქართველოში დიდი პროტესტი გამოიწვია.

1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. ამ გაერთიანებამ მხოლოდ 53 დღე იარსება და შიდა წი-

ნააღმდეგობების გამო დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 28 მაისს კი სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობაც გამოცხადდა. ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც შეიქმნა მთიელთა რესპუბლიკა.

სამხრეთ კავკასიის სამმა სახელმწიფომ დიდხანს ვერ იარსება - 1920 წლის აპრილში ბოლშევიკურმა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიკავა, 1920 წლის ნოემბრის ბოლოს სომხეთშიც დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მანამდე თურქეთთან ომში დამარცხდა, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად კი საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოებაც მოხდა.

კავკასია საბჭოთა პერიოდში

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. გასაბჭოებული საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი კი 1922 წელს გააერთიანეს ამიერკავკასიის ფედერაციულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და ამ სახით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა მოსკოვისათვის „ბუნებრივი“ რუსიფიკაციის მძლავრი საშუალება იყო, რადგანაც სამი ეროვნული სახელმწიფოს ნაცვლად შეიქმნა ერთი მოზრდილი რუსული გუბერნია. თუ დამოუკიდებელ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ეროვნული ენებზე უნდა ემუშავათ სახელმწიფო ორგანოებს, ამიერკავკასიის ფედერაციაში ასეთი „თავისთავად“ გამოდიოდა რუსული ენა.

ამიერკავკასიის ფედერაციამ 1936 წლამდე იარსება. 1936 წელს მიღებული საბჭოთა „სტალინური“ კონსტიტუციით საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უშუალოდ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, შესაბამისად, ფედერაციაც გაუქმდა.

გორბაჩოვის „გარდაქმნის“ პერიოდს და რეჟიმის ლიბერალიზაციას მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. 1991 წლის 17 მარტს გორბაჩოვის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმს საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად, საქართველომ იმავე წლის 31 მარტს დამოუკიდებლობის რეფერენდუმით უპასუხა და 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

ისტორიული არგუმენტაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990-1991)

საქართველოსა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთს არ „აღუდგენია“ თავისი სახელმწიფოებრიობა, არამედ მოახდინა თვითგამორკვევა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე. 1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებული იქნა დეკლარაცია სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ. მასში დამოუკიდებლობის გამოცხადების მოტივებს შორის დასახელებული იყო „1918 წლის 28 მაისს შექმნილი დამოუკიდებელი სომხეთის დემოკრატიული ტრადიციების განვითარებაზე“, მაგრამ შემდგომში სომხეთის პოლიტიკურმა ელიტამ უარი თქვა სომხეთის პირველი რესპუბლიკის (1918-1920) სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე.

ეს რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. წინასაბჭოთა პერიოდის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გახსენება საქართველოს და აზერბაიჯანს, ისევე როგორც ბალტიის სახელწიფოებს სჭირდებოდათ იმპერიული ცენტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი არგუმენტი საბჭოთა კავშირიდან თავის დასაღწევად, სომხეთის საზოგადოებისათვის (ეროვნული მოძრაობისთვის) კი საბჭოთა კავშირის კრიზისის პერიოდში უმთავრესი იყო არა მოსკოვთან დაპირისპირება, არამედ მთიანი ყარაბაღისათვის ბრძოლა. გარდა ამისა, პირველი რესპუბლიკის პერიოდი სომხეთში არ ყოფილა რომანტიზაციის საგანი. პირიქით, ის უკავშირდებოდა დამარცხებას, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვას და სოვეტიზაციას. ეს უკანასკნელი კი ნაკლები ბოროტება იყო თურქულ საფრთხესთან შედარებით.

პირველ რესპუბლიკასთან სამართალმემკვიდრეობაზე უარის თქმასთან ერთად, სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სომხეთის რესპუბლიკა ესწრაფვის „1915 წელს ოსმალურ თურქეთსა და დასავლეთ სომხეთში სომხების გენოციდის საერთაშორისო აღიარებას“.

სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტებში გამოყენებული ისტორიული არგუმენტაცია თითქმის იდენტურია. აღნიშნულია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და აზერბაიჯანი. ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანი და საქართველო არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის (1918-1920) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-

კის (1918-1921) სამართალმემკვიდრეები, რომ მოხდა მათი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანა.

განსხვავებული ისტორიული არგუმენტაცია, ერთი მხრივ, სომხეთის და, მეორე მხრივ, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტებში, შემდეგი მიზეზებით შეიძლება აიხსნას:

- სომხეთის რესპუბლიკის (1918-1920) დაცემის უშუალო მიზეზად თურქეთი განიხილება, საბჭოთა რუსეთი და სომხეთის გასაბჭოება კი სომხეთის გადარჩენის ერთადერთ გზად. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც სომხეთისათვის რუსეთი რჩებოდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად და მის მიმართ რაიმე ისტორიული ხასიათის პრეტენზიების წაყენება არასწორი იქნებოდა.

- საქართველოსა და აზერბაიჯანის შემთხვევაში საბჭოთა რუსეთი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკისა (1918-1920) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციისა და საბჭოთა კავშირში იძულებით შეყვანის მიზეზი. გარდა ამისა, 1990-იანი წლების დასაწყისშიც რუსეთი წარმოდგებოდა სეპარატიზმის მხარდამჭერი და ამ ორი ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მებრძოლი ძალის სახით.

3. კავკასია ძველი და ახალი რეგიონების კონტექსტში

ისტორია: სამხრეთ კავკასია - ახლო აღმოსავლეთის ნაწილი

ისტორიულად სამხრეთ კავკასია ახლო აღმოსავლეთის ნაწილი იყო. ასე იყო ბიზანტიისა და სასანური ირანის არსებობის, არაბთა ხალიფატის ან ოსმალ-სპარსთა დომინირების დროს. სამხრეთ კავკასიის რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცევამ სამხრეთ კავკასია ახლო აღმოსავლეთს ჩამოაცილა. გაწყდა პოლიტიკური კავშირები, მკვეთრად შემცირდა ეკონომიკური ურთიერთობაც. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან გაფართოვდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასია ახლო აღმოსავლეთში ბრუნდება. დღევანდელი

ახლო აღმოსავლეთი არცთუ კომფორტული რეგიონია ქვეყნისათვის, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზას ირჩევს.

რიგ ცნობარებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები აზიაში მოქცეული. ისინი ხელმძღვანელობენ იმ პრინციპით, რომ კავკასიონის ქედი მიჯნავს ევროპასა და აზიას ერთმანეთისგან. ასეთი მიდგომით ჩეჩნეთი და დაღესტანი ევროპაა, საქართველო კი არა.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი გახდა. ზურაბ ჟვანიამ წარმოთქვა ისტორიულ ფრაზა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ევროპელი“. სომხეთი და აზერბაიჯანი ევროპის საბჭოში 2001 წელს მიიღეს.

სამხრეთ კავკასია - „ახალი აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი“

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს „აღმოსავლეთ ევროპა“ იმ ქვეყნებს ეწოდებოდა, რომლებიც ევროპაში საბჭოთა კავშირის სატელიტები იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნა - ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობს 6 დამოუკიდებელი სახელმწიფო - ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ევროკავშირმა ამ ქვეყნებს „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ შესთავაზა - ესაა ევროპის კავშირის პროექტი, რომელიც მომზადდა პოლონეთისა და შვედეთის მიერ. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ინიციატივა წარადგინეს ევროკავშირის ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობების საბჭოს სხდომაზე 2008 წლის 26 მაისს, ბრიუსელში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინაუგურაცია შედგა პრაღაში, 2009 წლის 7 მაისს. მისი წევრები არიან ევროკავშირი და აღმოსავლეთი ევროპის 6 სახელმწიფო.

რუსეთი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი „აღმოსავლეთის პარტნიორობისადმი“. დღეისათვის პარტნიორობის შეთანხმებას ხელი მოაწერა მხოლოდ სამმა ქვეყანამ - უკრაინამ, მოლდოვამ და საქართველომ. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით „ახალ აღმოსავლეთ ევროპას“ ეს სამი ქვეყანა ქმნის. დანარჩენებს რუსეთი „ევრაზიული კავშირისაკენ“ ექაჩება.

სამხრეთ კავკასია და ევრაზიული კავშირი

ევრაზიული კავშირი (ეაკ) — დღეისათვის არის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ბელორუსს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, რუსეთს და ტაჯიკეთს შორის. იდეა, ძირითადად ევროპის კავშირის ინტეგრაციის ანალოგიურია, ყურადღების ქვეშ 2011 წლის ოქტომბერში, მაშინდელი რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის წყალობით მოექცა, მაგრამ თავდაპირველად, როგორც კონცეფცია წამოაყენა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა 1994 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს.

2011 წლის 18 ნოემბერს, ბელარუსიის, ყაზახეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 2015 წლისთვის ევრაზიული კავშირის შექმნასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებამ მოიცვა სამოქმედო გეგმა მომავალი ინტეგრაციისთვის და დააარსა ევრაზიული კომისია (ევრო კომისიის მოდელის მიხედვით), ასევე ევრაზიული ეკონომიკური სივრცე, რომელმაც ფუნქციონირება 2012 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. 2015 წლის 12 აგვისტოს ძალაში შევიდა ყირგიზეთის რესპუბლიკის ევრაზიის კავშირთან მიერთების ხელშეკრულება, რითიც ყირგიზეთი ევრაზიული კომისიის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ყირგიზეთის მოქალაქეებს მიეცათ სრული უფლება კავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში იმუშავონ ამ ქვეყნის მოქალაქეების უფლებით და არ იქნებიან წოდებულნი „შრომით მიგრანტებად“. ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებული არიან რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი და ყაზახეთი. ამავე წლიდან სომხეთიც ევრაზიის კავშირის სრულუფლებიანი წევრია.

ამრიგად, ევრაზიულ კავშირში სამხრეთ კავკასიის ერთი ქვეყანა - სომხეთი შედის, რომელსაც ევრაზიული კავშირის სხვა ქვეყნებთან საერთო საზღვარი არ გააჩნია.

კავკაზიის ცნება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ფედერაციის სამხრეთით ჩამოყალიბდა 8 დამოუკიდებელი სახელმწიფო - სამი სამხრეთ კავკასიაში (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) და ხუთი ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი).

ქართველი მეცნიერის ლადო პაპავას აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი რვა ქვეყანა აყალიბებს ორ ქვერეგიონს - ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას, - მათ ერთ რეგიონად გაერთიანების შემთხვევაში მას შეიძლება **ცენტრალური კავკაზია** ეწოდოს. სიტყვა „კავ-

კაზია“ ნაწარმოებია ორი სიტყვიდან „კავკასია“ და „აზია“. სიტყვა „ცენ-ტრალური“ კი საკვანძოა ორივე ქვერეგიონისთვის. თუ განვიხილავთ რე-გიონის არა რვა, არამედ ცხრა ქვეყანას ავღანეთის ჩათვლით, ამ შემთხვე-ვაში მართებული იქნება რეგიონს ვუწოდოთ **„დიდი ცენტრალური კავკა-ზია“**. [4]

როცა ცენტრალურ კავკაზიას ვახსენებთ როგორც ერთიან რეგიონს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური და კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო იგი არ არის ინტეგრირებული. ამასთან, ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც მათი ერთიან რეგიონად განხილვის საშუალებას იძლევა.

ექსპერტი კახა გოგოლაშვილი: „აქ არის ახალი მიდგომა, საუბრო-ბენ ბატონი ლადო და ბატონი ელდარი, რომ უნდა დაერქვას ჩვენ ღერძს ცენტრალური კავკაზია. ახალი ტერმინი - კავკაზია. რომელიც აერთიან-ებს ასევე ცენტრალური აზიის სახელმწიფოებსაც. ვფიქრობ, ეს სასარგებ-ლო ტერმინია, აქ არის ჩადებული იდეა, მოხდეს ეკონომიკური ინტეგრა-ციის და ალბათ პოლიტიკური ინტეგრაციის განვითარება. სწორედ ამ ღერძის, ჰორიზონტალური ღერძის შესაბამისად, რომელსაც ერთის მხრივ წარმოადგენს სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მეორე მხრივ ცენტრალური აზიის სახელმწიფოები: თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზე-თი, უზბეკეთი.. მათი ერთმანეთთან ეკონომიკური კავშირი შეიძლება იყ-ოს ძალიან სასარგებლო მთლიანად ამ არეალის განვითარებისთვის. აქ ტერმინმა შეიძლება ითამაშოს პოლიტიკური როლი. მთავარია მომავალ-ზე ზრუნვა, სამომავლოდ ამ რეგიონის ეკონომიური ინტეგრაციის ამ ჭრილში განხილვა”.[5]

4. თანამედროვე კავკასიის ადმინისტრაციულ-ტე-რიტორიული დაყოფა

კავკასია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით დღეს განაწილებულია ოთხ სახელმწიფოს შორის. სამხრეთ კავკასიაში

---

[4] ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპავა. ცენტრალური ევრაზია. ახალი გეოპოლიტიკური გააზრება. თბ., ინტელექტი, 1912, გვ.86

[5] ჰttp://www.ambrekhi.com/content/kavkasiis-geopolitikis/1534551.html

ესაა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ჩრდილოეთ კავკასია კი შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

სამხრეთი კავკასია — გეოგრაფიული მხარე ევროპისა და აზიის შესაყართან, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე ნაწილი კავკასიისა. იგი მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთით შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. სამხრეთი კავკასიას განეკუთვნება კავკასიონის სამხრეთი კალთის უმეტესი ნაწილი, კოლხეთისა და მტკვრის ბარი, სამხრეთი კავკასიის მთიანეთი, თალიშის მთები და ლენქორანის დაბლობი. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობს 3 სუვერენული სახელმწიფო: აზერბაიჯანი (უმეტესი ნაწილი), საქართველო, სომხეთი.

სახელმწიფო	დედაქალაქი	ფართობი	მოსახლეობა
აზერბაიჯანი	ბაქო	86,6	8.177.717
საქართველო	თბილისი	69,7	4.630.841
სომხეთი	ერევანი	29,8	3.200.000

კავკასიის სახელმწიფოებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი. რომელშიც ნაჩვენებია თითოეული სახელმწიფოს, ან რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ფართობი და მოსახლეობა 1990 წელს (საბჭოთა კავშირის დაშლის დროს) და 2002 წლის მდგომარეობით. გარდა ამისა, ფრჩხილებში მიწერილია პროცენტული წილი კავკასიის მთელ ტერიტორიასთან ან მოსახლეობასთან მიმართებაში.

ქვეყანა	ტერიტორია კვ.კმ.	მოსახლეობა (1990)	მოსახლეობა (2002)
კავკასია	462.100	28483 ათასი	
სამხრეთ კავკა-	186.100	15.880 ათასი	16.800 ათასი

სია			
აზერბაიჯანი	86.600 (19,6%)	7131ათასი (25%)	8.140 ათასი
საქართველო	69700 (15,8%)	5456 ათასი (19,1%)	5.210 ათასი
სომხეთი	29800 (6,7%)	3293 ათასი (11,5%)	3.450 ათასი
ჩრდილოეთ კავ-კასია (რუსეთის ფედერაცია)	276.000	13.401 ათასი	13.233.900
ადიღე	7600 (1,7%)	436 ათასი (1,5%)	444900
კრასნოდარის მხარე	83.600 (18,9%)	5135 ათასი (18%)	4.987.600
ყარაჩაი-ჩერქეზეთი	14.100 (3,2%)	422 ათასი (1,5%)	428.600
ყაბარდო-ბალყარეთი	12.500 (2,8%)	768 ათასი (2,6%)	782.000
ოსეთ-ალანია	8.000 (1,8%)	638 ათასი (2,2%)	678.200
სტავროპოლის მხარე	80,600 (18,3%)	2.889 ათასი (10,1%)	2.642.200
ჩეჩნეთი და ინგუშეთი	19.300 (4,6%)	1.290 ათასი (4,5%)	624.600
ინგუშეთი			466.300
დაღესტანი	50.300 (11,4%)	1823 ათასი (6,4%)	2.179.500

დანართი: კავკასია დასავლეთის თვალით

კავკასიის გამოცანის ამოხსნა: ორი ახალი წიგნი, რომელიც რეგიონის რთულ ისტორიას განიხილავს

EURASIANET.org

Eurasianet–ის "წიგნების მიმოხილვა":

"დაე იყოს ჩვენი სახელი დიდი: მოგზაურობა კავკასიის დაუმორჩილებელ ხალხებთან" ავტორი: ოლივერ ბალა Basic Books

"კავკასია: შესავალი" ავტორი: თომას დე ვაალი Oxford University Press

კავკასიასთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევა: "თუ მიგაჩნიათ, რომ რეალობას ჩასწვდით, წუთით შეიცადეთ". მერე კი დაჯექით და წაიკითხეთ თომას დე ვაალისა და ოლივერ ბალას ახლად გამოქვეყნებული წიგნები: მათ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე არაპროგნოზირებადი და მოუსვენარი კუთხის არსებით პრობლემებში ჩახედვის საშუალება მოგვცეს.

ჩეჩნეთისა და მთიანი ყარაბახის ექსპერტი დე ვაალი ლონდონის ომისა და მშვიდობის ინსტიტუტში მუშაობდა (IWPR), შემდეგ კი კარნეგის ცენტრში (Carnegie Endowment for International Peace) გადმოვიდა (ამბობენ, რომ მისი მოწვევა ცენტრში ერთი რამითაა განპირობებული: მან ვაშინგტონში კავკასიის საკითხების ანალიზი ახალი იდეებით უნდა გაამდიდროს). მისი წიგნი – "კავკასია: შესავალი" ბრწყინვალე წყაროა ჟურნალისტებისა და დიპლომატებისათვის, ზოგადად ყველასთვის, ვისაც საკითხის წვდომა მოკლე ვადაში სურს. წიგნი ლაკონური, მაგრამ ყოვლისმომცველია: ილუსტრირებულია რუკებით და ფერადოვანი ჩანართებით, რომლებიც ყველაფერს მოიცავენ დაწყებულს ქართული ღვინიდან და საბჭოთა ფლორიდით დამთავრებულს (ასე უწოდებდნენ ერთ დროს აფხაზეთს).

სამხრეთ კავკასიაზე, ჩვეულებრივ კონკრეტული ერთეულების ტერმინებში აზროვნებენ: ქართველებით დასახლებული საქართველო, სომხებით დასახლებული სომხეთი და ა.შ. მაგრამ რეალობა უფრო არაერთგვაროვანია: ისტორიკოსი რონალდ სანი იმ ფაქტზე აჩერებს ყურად-

ღებას, რომ მეოცე საუკუნემდე საქართველოს ურბანულ კულტურაში (განსაკუთრებით დედაქალაქში) სომხები დომინირებდნენ. დე ვაალი კიდევ უფრო შორს მიდის: უფრო ადრე, წერს ის, თითქმის ნახევარი ათასწლეულის მანძილზე, თბილისი ფაქტობრივად არაბულ ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო მე-18 საუკუნეში დღევანდელი სომხეთი ძირითადად "თათრებითა" და ქურთებით იყო დასახლებული. ამავე დროს დე ვაალი აღნიშნავს, რომ "სპრასელებს კავკასიის დიდი ნაწილი ათასწლეულობით ჰქონდათ დაპყრობილი, ბევრად უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვიდრე რუსებს". (იყავით ყურადღებით: სპარსული ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში კვლავ იჩენს თავს, პროგნოზირებს დე ვაალი, იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობანი გამოსწორდება).

დე ვაალი აღწერს ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალებს იმ მოვლენის მიღმა, რასაც ანალიტიკოსი პოლ გობლი კავკასიაში "ხალხების გადაჯგუფებას" უწოდებს. ტრანსფორმაციები მართლაც დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა და ეხებოდა არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ ენებს, დამწერლობებს, რელიგიებს და კულტურულ იდენტობებს (ამ კონტექსტში გასაგები ხდება რატომაა მოთავსებული ბიბლიოთეკებში წიგნები საქართველოსა და აზერბაიჯანზე, წიგნებთან რუსეთსა და უკრაინის შესახებ და რატომ შეიძლება ტომები სომხეთზე ახლო აღმოსავლეთის განყოფილებაში იყოს გადამალული).

შესაშური სიცხადით და ლაკონურობით დე ვაალი 1918—1921 წლების ჭაობში მიგვიძღვება: პერიოდში, რომელიც აღსავსე იყო ომებით, მასობრივი მკვლელობებით, რევოლუციებით, გენოციდით, ოკუპაციებით, პოგრომებით, ჯაშუშობით და კონტრაბანდით. მეორე თავი იმ ტურბულენტურ პოლიტიკურ მოვლენებს აღწერს, რომელიც 1991 წლის შემდეგ დაიწყო.

წიგნის ბოლოს მკითხველმა შეიძლება იკითხოს რას შეიძლება ნიშნავდეს "ტერიტორიული მთლიანობა" და სხვა ამის მსგავსი საერთაშორისო ნორმა ისეთ არეულ-დარეულ სივრცეში, როგორიცაა კავკასია. არაა გასაკვირვი, რომ დღეს საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი განიცდიან იმას, რასაც დე ვაალი დიპლომატიურად ინკულზიური აზროვნების დეფიციტს უწოდებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ამ ქვეყნებს გადარჩენისკენ და რეგიონული ერთიანობის შეინარჩუნებისკენ მოუწოდებს, ხოლო ევროკავშირმა შესაძლოა აქ ფასილიტატორის როლი შეასრულოს. დე ვაალი არ არის ოპტიმისტურად განწყობილი და არა ჰგონია, რომ მგე-

ლი და ცხვარი ერთად მოძოვენ კავკასიაში, მაგრამ მას უკეთესობის იმედი აქვს და ამის მიღწევას ღირებულ მიზნად წარმოადგენს.

ოლივერ ბალამ, ასევე ჟურნალისტმა, დე ვაალი IWPR-ში შეცვალა. წლების მანძილზე მუშაობდა ის კორესპონდენტად ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ის რუსეთის ველური სამხრეთით მოიხიბლა. "დაე იყოს ჩვენი სახელი დიდი" ამაღელვებელი მონათხრობია რუსეთზე და დიდი კავკასიის მთების ჩრდილოეთ ფლანგზე. ანაცვლებს რა ერთმანეთს ისტორიასა და რეპორტაჟს, ბალა ფოკუსს ჩერქეზებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების (მათ შორის აფხაზების) იმ საგაზე ასწორებს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი.

ის გვთავაზობს ძალიან იშვიათ მონათხრობს კავკასიურ ტრადიციებსა და ეტიკეტზე, ღირსებასა და სოციალურ ჩვევებზე, მათ დღევანდელ მანიფესტაციაზე. ბალას თქმით, ქცევათა ეს კოდექსი კულტურაში "მთავრობის, ორგანიზებული რელიგიის ან ფულზე დაფუძნებული ეკონომიკის გარეშე" ვითარდებოდა. ამ სივრცეში თავშესაფრის მოძიება შეუძლებელი იქნებოდა სტუმართმოყვარეობის მკაცრი კოდექსის გარეშე, ხოლო მოგზაურები, რომელთაც ღამის გასათევი ვერ მოიძიეს, შეიძლება მძარცველებს ან კიდევ უფრო უარეს შემთხვევას ემსხვერპლონ.

წიგნში ბალა მძლავრ ლიტერატურულ ილეთს იყენებს: თავიდან ის მკითხველს თანამედროვე თვითმკვლელ ტერორისტს, ან მასობრივ ხოცვა-ჟლეტას აღუწერს, შემდეგ დროში უკან გვაბრუნებს, რათა ამ მოვლენათა პირველმიზეზები გამოიკვლიოს. ეს ხერხი ეფექტურად მუშაობს, ერთი სული გაქვს ტექსტი უკან მოიტოვო და იყვირო: "ეს ტრაგედია, ეს პაროდია ახლავე უნდა შეწყდეს" და მხოლოდ მერე აცნობიერებ, რომ ბალა აღწერს იმას, რაც ასწელეულების წინათ მოხდა.

ან კიდევ:

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ბალყარების, მთაში მცხოვრები თურქული წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფის რამდენიმე სოფელი გაანადგურეს. ივარაუდებოდა, რომ ეს ყველაფერი ყაბარდინო-ბალყარეთში მოთარეშე გერმანელმა სამხედროებმა ჩაიდინეს. ბალა ყვება, რომ საკითხი საბჭოთა სამხედროებმა გამოიძიეს და ძალიან საინტერესო დასკვნაც გამოიტანეს: გერმანელებმა ბალყარელები დახოცეს მას შემდეგ, რაც ამ ხალხმა მათთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხდა.

ბალა წერს:

"NKVD-მ განაცხადა, რომ მან უკვე დააპატიმრა 845 ადამიანი 40.909 ბალყარელიდან, რომლებიც ხუთ ხეობაში ბინადრობდნენ. მაგრამ უამ-

რავი "ბანდიტი" ჯერ კიდევ აფარებს თავს მთებს და მათ ნათესავები ეხმარებიან…"

ოფიციალური ვერსია აბსურდული იყო. წლები დასჭირა იმას, რომ რეალური ისტორია ამოტივტივებულიყო. "გერმანელი" მკვლელები საბჭოთა კავალერია აღმოჩნდა, რომელთაც NKVD-მ ბალყარელი "ბანდიტების" ლიკვიდაციის ბრძანება მისცა. ეს მოხდა და ჯარმაც თარეში დაიწყო. იმას, თუ ვინ იყო რეალურად დამნაშავე, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან სტალინს ბალყარელებთან დაკავშირებით საკუთარი გეგმა ჰქონდა შემუშავებული:

"ღალატის, დანაშაულის და ძალადობის ნუსხა… დაუმორჩილებლობა საზარლად უნდა დასჯილიყო და ანგარიშში ერთ-ერთი ასეთი აღწერლიცაა. "ზემოთ ჩამოთვილილიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლად საკითხი გადაწყდეს ბალყარების შესაძლო დეპორტაციის გზით…", ნათქვამია დოკუმენტში. "ბალყარელებს პასუხი უნდა ეგოთ იმისთვის, რომ საკუთარ სახლებს მკვლელებისგან იცავდნენ. დეპორტაცია შორს არ იყო".

დეპორტაცია დაიწყო და ყველა გადარჩენილი ბალყარელი, დაახლოებით 38.000 ადამიანი ყაზახეთში, ციმბირში და სხვა ადგილებში გადაასახლეს.

ირონიულია, მაგრამ 1990 წწ. ერთ-ერთმა ბალყარელმა, რომელიც მასობრივ მკვლელობას გადაურჩა და რომელიც სტალინს წააგავდა, საბჭოთა ფილმში სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული სტალინის როლი შეასრულა. ირონიულია ისიც, რომ დღემდე, მიუხედავად ბალყარელების გამართლებისა, ბევრი რუსი (და არც ისე ცოტა კავკასიელი) მიიჩნევს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ბალყარელები გერმანელებთან მართლა თანამშრომლობდნენ.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 2014 წლის ოლიმპიადა კავკასიაში უნდა ჩატარდეს, "კავკასია" და "დაე იყოს ჩვენი სახელი დიდი" დროული წიგნებია. სწორედ ამ ადგილებში მოხდა უკანასკნელი რუსულ-ჩერქეზული ორთაბრძოლა, სწორედ აქედან გაუყენეს თავისი საგვარეულო მამულებიდან აყრილი ათასობით კავკასიელი ოტომანთა იმპერიის გზას. უამრავმა მათგანმა გზაში დალია სული (შეადარეთ ეს მე-19 საუკუნის აბორიგენი ამერიკელების თავგადასავალს. შეიძლება წარმოიდგინო, რა რეაქცია ექნებოდა მსოფლიოს ამერიკის მთავრობას ოლიმპიური სოფელი მაგალითად Little Bighorn-ში ან Wounded Knee-ში რომ აეშენებინა).

2008 წლის რუსულ-ქართული კონფლიქტის ფონზე, იმის განცხადება, რომ საქართველოს რაიმე მართებს თავისი ჩრდილოელი მეზობლის, არასწორი იქნებოდა. მაგრამ ბალა იხსენებს, რომ მე-19 საუკუნეში ქართველებმა რუსეთის ინსტიტუტებში ღირებული განათლება მიიღეს, უშუალოდ გაიცნეს ახალი ფილოსოფიური და პოლიტიკური მიმდინარეობები. ისიც მართალია, რომ დასავლელების უმეტესობა კავკასიას პირველად პუშკინის, ლერმონტოვის და ტოლსტოის ტექსტებში შეხვდა. ბალა იმაზეც წერს, რომ მე-19 საუკუნის რუსები აღფრთოვანებულები იყვნენ ალექსანდრე მარლინსკის რომანტიკული და მძაფრსიუჟეტიანი ეპიზოდებით აღსავსე სათავგადასავლო მოთხრობებით. მარლინსკი თავზეხელაღებული დეკაბრისტი იყო, ეარშიყებოდა კავკასიელ ქალებს და ესწრაფოდა ბრძოლაში სიკვდილს (ორივე მიმართულებით სასურველს მიაღწია). სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნები სავსებით სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ისინი ახალ დროებაში ცხოვრობენ, მაგრამ რომანტიკული ნარატივი რეგიონში მაინც მნიშვნელოვან ძალად რჩება.

რუსების შემდეგ, შესაძლოა ყველაზე მეტად მთის ხალხით ბრიტანელები მოიხიბლნენ. დე ვაალისა და ბალას მკითხველები შეხვდებიან ფრაგმენტებს ჯონ ბედდელის ტექსტებიდან (ის წერდა კლასიკურ ტექტებს, ისეთებს როგორიცაა "კავკასიის გაუვალი ფერდობები" და "რუსების მიერ კავკასიის დამორჩილება"), ეგზოტიკურ ფრაგმენტებს 1913 წელს გამოცემული გზამკვლევიდან, 1840 წელს, გერმანელი მოგზაურის ბარონ ავგუსტ ჰაქსგაუზენის მიერ დაწერილი წიგნიდან და ა.შ. და ა.შ.

ამ წიგნებში უამრავი გასაოცარი და ამავე დროს საზარელი ამბავია აღწერილი, მაგრამ ავტორები არსდროს ტკბებიან იმით, რასაც თომას გოლცი (კავკასიით მოხიბლული კიდევ ერთი ექსპერტი) "ბუმ-ბუმ" რეპორტაჟს უწოდებს. ავტორების მიზანი არასდროს გამხდარა ძალადობის ეპიზოდებით შოკის გამოწვევა. პირიქით, ესაა ღრმა ნაფიქრალი ულამაზეს, მაგრამ თვითდესტრუქციულ რეგიონზე, რომელშიც თვითონ თომას დე ვაალს და ოლივერ ბალას უამრავი ხიფათი გადახდენიათ და სადაც მეგობრები და კოლეგები დაუკარგავთ. მოკლედ, ამ რეგიონმა მათ ცხოვრებას დაღი დაასვა. მკითხველს, ეს წიგნები ნამდვილად აღუძრავს კავკასიაზე მეტის შეცნობის სურვილს და შესაძლოა იქ მოგზაურობაც მოანდომოს.

სექტემბერი 2, 2010

http://foreignpress.ge/?p=14648

თომას დე ვაალი. შეწყვიტეთ დიდი თამაში: კმარა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფად აღქმა

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ამიერკავკასიიდან კვლავ ცუდი ამბები მოდის. რეგიონის ორი ყველაზე ვრცელი საზღვარი (სომხეთ-აზერბაიჯანის და რუსეთ-საქართველოსი) ნაწილობრივ ან მთლიანად დახურულია, ხოლო სახელისუფლებო ორგანოებში გამეფებული კორუფციის გამო, ნორმინალურად გახსნილი საზღვრებიც კი თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობას არ იძლევა. საბჭოთა პერიოდის „მშობლებს“, საქართველოს და აზერბაიჯანს გამოყოფილი, მაგრამ რეალური სუვერენიტეტის არმქონე რეგიონის სამი დე-ფაქტო მიკრო-სახელმწიფო – აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი და მთიანი- ყარაბახი – „ბუნდოვან ზონაში“ იმყოფება. ომმა უსახლკაროდ დატოვა ასობით-ათასი დევნილი. სიღარიბე და უმუშევრობა არ იკურნება. მილიონობით ადამიანი სახლისგან მოშორებით, ძირითადად რუსეთში მუშაობს. ასეთი სამწუხარო ვითარების გამო, დამნაშავეები როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე სხვა ქვეყნის წარმომადგენელებიც არიან.

რაში მდგომარეობს უცხოელების ბრალი? ვფიქრობ, ყველანი დამნაშავეები ვართ, რადგან ჩვენი არასწორი წარმოადგენების და ინტერპრეტაციების გამო, რეგიონში შექმნილი ისედაც აუტანელი პოლიტიკური ვითარება, კიდევ უფრო გაუარესდა. ვხედავ სამ სახიფათო ილუზიას, სამ მცდარ მიდგომას, რაც რეგიონს მავნე შედეგების სახით უბრუნდება.

პირველი და იმავდროულად სამიდან ყველაზე ძველი ილუზია, ამ რეგიონის „დიდ საჭადრაკო დაფად“ წარმოდგენა, რომელზეც დიდი სახელმწიფოები პატარებს როგორც პაიკებს ისე ამოძრავებენ, საკუთარი ინტერესების შესაბამისად. სინამდვილეში კი, გეოპოლიტიკური კლიმატი როგორც არ უნდა იცვლებოდეს, ადგილობრივი პოლიტიკოსები ყოველთვის ახერხებენ საგარეო ძალებით მანიპულირებას, ყოველ შემთხვევაში ისეთივე დოზით, როგორითაც დიდები მათით მანიპულირებენ.

ოცი წლის შემდეგაც, კავკასია კავკასიად რჩება, მთელი თავისი სირთულეებითა და მრავალფეროვნებით – ეს არ არის რუსეთის, თურქეთის ან ირანის ასიმილირებული პროვინცია. კავკასიის ხალხები საკმარისად ძლიერები არ არიან იმისთვის, რომ კეთილდღეობას მიაღწიონ, სამა-

გიეროდ საკმარისი ძალა გააჩნიათ იმის, რომ დიდი მეზობლების ზეწოლას შეეწინააღმდეგონ: ამას პირობითად შეგვიძლია „არაუსაფრთხოების ბალანსი“ დავარქვათ. საკუთარი ისტორიის განმავლობაში სომხები, აზერბაიჯანლები და ქართველები, ისევე როგორც რეგიონის უფრო მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, საგარეო შემოსევებს განიცდიდნენ და მათი ასიმილაციის მცდელობებს მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ. რა თქმა უნდა, ხშირად გადარჩენის ფასი ფაუსტის უმაღლეს ძალასთან ერთგვარ შეთანხმებას ჰგავდა. ასე აღმოჩნდნენ აზერბაიჯანლები თურქებთან და ბრიტანელებთან ალიანსში, ქართველები – გერმანელებთან და ბრიტანელებთან, ხოლო სომხები, აფხაზები და ოსები – რუსეთთან ალიანსში.

ის გარე ძალა, რომელიც გასულ საუკუნეში დიდწილად განსაზღვრავდა რეგიონის ბედს საბჭოთა რუსეთი იყო, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში არა იმდენად წყვეტდა რამდენადაც უფრო ზედაპირულად აგვარებდა კავკასიურ წინააღმდეგობებს. 1920 წლიდან რეგიონი საბჭოეთის ავტორიტარული მართვის მხუთავ მარწუხებს უძლებდა. 1919 და 1991 წლების მოვლენები დიდწლად ერთმანეთს წააგავს: აფხაზები და ოსები ქართველი ნაციონალისტების მხრიდან სავარაუდო საფრთხის გამო დახმარებას რუსეთს სთხოვენ, ხოლო საქართველო რომელმაც ის იყო დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსული საფრთხის გამო დახმარებას ახლადშეძენილ დასავლელ პარტნიორებს სთხოვს. 2008 წლის აგვისტოში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილმა წინააღმდეგობებმა სამხრეთ-ოსეთი, ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთ–ამერიკის ყველაზე სასტიკი შერკინების ადგილად აქცია.

ყველა ამ ურთიერთობების რთული ხასიათის გათვალისწინებით, უკეთესი იქნება თუკი ამ სურათს მივუდგებით არა როგორც დიდ საჭადრაკო დაფას, არამედ როგორც დომინოსგან შეკოწიწებულ კოშკს, როდესაც ერთი დეტალის გამოცლით, შეიძლება მთელი შენობა ჩამოინგრეს.

მეორე ილუზია იმაში მდგომარეობს, რომ რუსი დათვი რეგიონს თავზე ადგას და დღესაც კი მზადაა შედარებით დაუცველი კავკასიური ერები გაანადგუროს. ვფიქრობ ეს გაზვიადებული წარმოდგენაა. რა თქმა უნდა რუსეთი რეგიონის ყველაზე ძლიერი მოთამაშეა. 1990-იან წლებში რუსეთის არმია რეგიონის კონფლიქტებში მართლაც ერეოდა, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰქონდა და ახლაც რუსი სამხედროები თბილისიდან სულ რაღაც ოცდაათი მილის მოშორებით, ქალაქ ახალგორში იმყოფებიან, მაგრამ რუსეთის უნარი გავლენა მოახდინოს მიმდინარე

მოვლენებზე ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ეს ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია.

მთავარი ფაქტორი, რაც რეგიონში რუსეთის გავლენას ზღუდავს – მისი გეოგრაფიაა. ჯერ ერთი დიდი კავკასიური უღელტეხილი ფიზიკური ბარიერია, მეორეც ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის საკუთარი მტკიცე ტრადიცია, მეფის რუსეთს და საბჭოთა კავშირს აიძულებდა რეგიონი ემართა არა პირდაპირ, არამედ ადგილობრივ ლიდერებზე დაყრდნობით. რუსები რეგიონში ყოველთვის ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილები, ახლაც კი რუსეთის მოქალაქეები იქ ძალიან ცოტაა, ისევე როგორც ადგილზე პიდაპირი ზემოქმედების ბერკეტი.

ბევრმა დასავლელმა ანალიტიკოსმა 2008 წლის ომი იმის დასტურად მიიჩნია, რომ რუსეთს ამიერკავკასიასა და ზოგადად „ახლო საზღვარგარეთში“ გაბატონების ნეოიმპერიალისტური გეგმები აქვს. სინამდვილეში ბოლო ორი წლის განმავლობაში, მოსკოვი საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა სხვადასხვა სტიმულების შეთავაზებითა და სომხეთს და აზერბაიჯანს საჩუქრებს ჩუქნიდა, ხოლო პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პირადად დახარჯა დრო და მთიან-ყარაბახში მშვიდობის დამყარების პროცესისთვის გაისარჯა. ახლახანს რუსეთის მიერ სომხეთთან სამხედრო კავშირის განმტკიცება, ვერ შენიღბავს მის დროში გაჭიანურებულ წასვლას კავკასიიდან, სადაც ადგილობრივ მოთამაშეებს და მათ შორის სომხეთსაც, ერთობლივად რამდენიმე პარტნიორის ყოლა ურჩევნიათ, ვიდრე ერთის. დღეს რუსეთი კავკასიაში – თამაშის რამდენიმე მონაწილეთაგან მხოლოდ ერთ-ერთია, ხოლო მნიშვნელობა იქ ეკონომიკურ და არა სამხედრო პოტენციალს აქვს.

გამოყოფილ რეგიონებში, სამხრეთ-ოსეთში და აფხაზეთშიც კი, რომლებიც დასთანხმდნენ იმას, რომ ისინი დე-ფაქტოდ მოსკოვს ემართა საქართველოსგან დე-ფაქტო გამოყოფის სანაცვლოდ, რუსეთის ფსონები არც ისე მაღალია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მოსკოვი ამ რეგიონებში მილიონობით დოლარს აბანდებს, მაგრამ ეს ფული სხვა რაღაცეებზე უნდა იხარჯებოდეს. მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანას არ მიუბაძავს რუსეთის მაგალითისთვის და არ უღიარებია ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, მოსკოვის ნაბიჯმა არასტაბილურ ჩრდილოეთ-კავკასიაში უკმაყოფილება გამოიწვია.

გრძელვადიან პერიოდში ამ „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარება შეიძლება შესაძლებელი გახდეს, პირველ რიგში იმიტომ რომ ჩიხური სიტუაცია რომელიც ამ ტერიტორიების ირგვლივ შეიქმნა, ხელს უშლის მოსკოვს უსაფრთხოების კიდევ უფრო არსებით პრობლემას – ტურბუ-

ლენტურ ჩრდილოეთ-კავკასიას გაუმკლავდეს. რუსეთს არა აქვს უნარი ჩეჩნეთი, დაღესტანი და ინგუშეთი საკუთარი ძალებით მოარჯულოს, ამისთვის მას ქართველების, აფხაზების, ოსების და დასავლეთის დახმარება დასჭირდება. რა თქმა უნდა, სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებით, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო, ხოლო რუსეთთან მხოლოდ ერთი მთის გვირაბი აკავშირებდა, შეთანხმების მიღწევა უახლოეს ათწლეულში შესაძლებელია.

ასე რომ წარმოდგენა ყოვლისშემძლე რუს დათვზე შეცდომაა. მოსკოვი მკბენარა და არაპროგნოზირებადი ცხოველია, მაგრამ არც თუ ყოვლისშემძლე.

მესამე ილუზიაა ის, რომ თითქოს სამხრეთ-კავკასიას დასავლეთის ქვეყნებისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ასეთ მცდარ წარმოდგენას ჩვენთვის სარგებელზე მეტი ზიანი მოაქვს. ამიერკავკასიის გლობალურ მნიშვნელობაზე წარმოდგენის ჩამოყალიბებას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: პირველი – ამ რეგიონში იმ დერეფნის წარმოდგენა, რომელიც დასავლეთის ენერგომატარებლებით მომარაგებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია და მეორე იმავდროულად მისი აღქმა ნატო-ს გაფართოებისთვის სასურველ მოედნად.

რაც შეეხება ენერგეტიკას რა თქმა უნდა უდაოა, რომ ამიერკავკასიაზე კასპიისპირა რეგიონიდან ნავთობის და გაზის ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი მარშრუტი გადის და აბსოლუტურად გასაგებია, რატომ არის საჭირო აზერბაიჯანის ის მილსადენები, რომლებიც რუსეთს და ირანს არ უკავშირდება. ნავთობმა, რომელიც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენში მიედინება აზერბაიჯანს, რომელსაც ფული სჭირდებოდა მილიონობით დოლარი მოუტანა (ოდნავ ნაკლები საქართველოს). კასპიის გაზი ორივე ქვეყანას დაეხმარა ნაწილობრივ გათავისუფლებულიყვნენ რუსულ გაზზე დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ბევრმა დასავლელმა პოლიტიკოსმა შეცდომით გადაწყვიტა, რომ მილსადენების პოლიტიკა მოგებაზე თამაშია. 1990-იან წლებში ზოგიერთმა ენთუზიასტმა დაიჯერა განცხადებები იმის თაობაზე, რომ კასპიისპირა რეგიონში განსაკუთრებული მოცულობის ნავთობის საბადოები იყო. მას ქუვეიტის და საუდის არაბეთის მარაგებს ადარებდნენ. საბოლოო ჯამში, ეს ცნობები ძალიან გაზვიადებული აღმოჩნდა. სიტუაცია არ გაუმჯობესებულა არც ორი არასწორად შერჩეული მეტაფორით. რა თქმა უნდა, „ახალი დიდი აბრეშუმის გზა“ (შუა აზიიდან – შავიზღვისპირეთისკენ მიმართული) მშვენივრად ჟღერს, მაგრამ ეს რაღაც არათანამედროვე, შუა საუკუნეობრივ წარ-

მოდგენებს წააგავს, ხოლო როდესაც ამიერკავკასიის მიმართ ინტერესის ბოლოდროინდელ გამძაფრებას „დიდ თამაშს“ ადარებენ, უფრო ზუსტად კი შუა აზიასა და ავღანეთში გავლენისთვის ბრძოლას, რომელიც მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთს და დიდ ბრიტანეთს შორის გაჩაღდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადგილობრივი მცხოვრებლები – პასიური არსებები იყვნენ, მოსკოვი კი უკიდურესად საშიში მტერი. მსგავსმა მეტაფორებმა პატარა ქვეყნებს ყალბი იმედები გაუჩინა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთისთვის მათ უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვთ და იმავდროულად რუსეთიც განარისხეს. დღეს, როგორც სჩანს რეგიონში პლაცდარმის შექმნისკენ მიმართულმა სტრატეგიულმა ამბიციებმა ადგილი დაუთმო მისი მნიშვნელობის უფრო ფხიზელ შეფასებას, ევროპის ენერგეტიკული და ეკონომიკური მოთხოვნების თვალსაზრისით.

კიდევ ერთი მასშტაბური სტრატეგიული პროექტი, რომელიც დასავლეთმა კავკასიას თავს მოახვია – საქართველოს ნატოში გაწევრიანების აუცილებლობაა. სინამდვილეში, საქმე ეხებოდა არა საქართველოს უფლებას გამხდარიყო ალიანსის წევრი (ქართულმა საზოგადოებამ ამ საკითხისადმი თავისი პოზიტიური დამოკიდებულება რეფერენდუმზე გამოხატა, თანაც საკმაოდ დიდი უმრავლესობით). საქმე ის არის, მოუტანდა თუ არა ნატო-ში გაწევრიანება რაიმე სარგებელს მაინც ნატო-ს ან საქართველოს და ახლა უკვე ცხადი გახდა რომ არა. შესრულებულმა სამუშაომ ვერ გააუმჯობესა საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია და არც ნატო აღმოჩნდა მზად საკუთარ რიგებში ისეთი ქვეყანა მიიღოს, რომლის შეიარაღებული ძალები განუვითარებელი, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია და იმავდროულად საკუთარ ტერიტორიაზე ორი გადაუწყვეტელი კონფლიქტი აქვს. როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გაცხადდა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიაჩნდა, რომ მის ქმედებებს სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებით ვაშინგტონი მხარს დაუჭერდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. როდესაც კონფლიქტი ჩაცხრა, საქართველომ დაკარგა აფხაზეთიც, სამხრეთ-ოსეთიც და ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაც.

გაცილებით სასარგებლო იქნებოდა სტრატეგიით, რიტორიკითა და მოკავშირების შერჩევითი მოზიდვით კი არ გვეთამაშა, არამედ კონცენტრირება მოგვეხდინა უფრო დაბალ დონეზე – ინსტიტუტების მშენებლობაში ინვესტირებაზე. მაშინ ამიერკავკასიის მცხოვრებლები უფრო საღად შეაფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და იმასაც გაიგებენ, რისი თხოვნა შეუძლიათ მათ დასავლელი მფარველებისთვის, რომლებიც ყურადღებით და მეხსიერებით არ გამოირჩევიან. ამას პარადოქსულ დას-

კვნამდე მივყავარ: სტრატეგიული უმნიშვნელობის სასიცოცხლო დოზას ამიერკავკასიისთვის ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო. რეგიონის ამ რაკურსში განხილვისას, როგორც უცხოელები, ასევე ადგილობრივები უკეთ შესძლებენ არსებითი პრობლემების გადაწყვეტაზე კონცენტრირებას.

ვფიქრობ, ამიერკავკასიისთვის სასარგებლო იქნება ზესახელმწიფოებს შორის მორიგება – თუკი ისინი მტრული ზრახვების არ არსებობის პირობით ერთმანეთის ინტერესებს აღიარებენ. გარე ძალებმა უნდა მოილაპარაკონ, რომ რეგიონს იარაღს არ მიაწვდიან და კონფლიქტის მიმართულებით ნებისმიერ სვლას ერთობლივად შეაჩერებენ, მაგრამ ამას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც რეგიონი აღმოჩნდება ნებისმიერი უსაფრთხოების ალიანსის მიღმა და მისი „გარდამავალი“ სტატუსი მას კონფლიქტის ზონიდან ნეიტრალიტეტის ზონად გადააქცევს.

ახლა ეს სუფთა წყლის უტოპიად ჩანს, თუკი გავითვალისწინებთ იმას, თუ რამდენი რუსი სამხედროა თავმოყრილი აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში და როგორ გრგვინავს ყარაბახის კონფლიქტის ვულკანი, თუმცა უცხოელებს კავკასიაში აქვთ შესაძლებლობა ცოტა განსხვავებული მომავალი წარმოიდგინონ და საკუთარი პოლიტიკაც შესაბამისად ჩამოაყალიბონ.

ამ ამოცანას გვერდი-გვერდ მისდევს ეკონომიკური ხედვაც: წარმოიდგინეთ, რომ ამიერკავკასია გახდა თავისუფალი ვაჭრობის ზონა, კომუნიკაციის კვანძი, რომელსაც ვარსკვლავის მსგავსად, ხუთი მიმართულება აქვს: რუსეთისკენ, კასპიის მიმართულებით, ირანისკენ, თურქეთისკენ და შავიზღვისპირეთისკენ. როდესაც ხელახლა გაიხსნება სარკინოგზო ხაზი აფხაზეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანული ნახიჩევანიდან ირანის გავლით (განშტოებებით შავ ზღვაზე, თურქეთსა და ევროპაში) – ეს ის დღე გახდება, როდესაც ამიერკავკასია კვლავ გადაიქცევა იმ რეგიონად, რომელსაც მომავალზე რეალური პერსპექტივები გაუჩნდება.

ამიერკავკასიის მცხოვრებლებში და უცხოელებში ასე ცოტა თუ ფიქრობს. მიდრეკილება ვიწრო, ორმხრივი მიდგომისკენ კავკასიური პოლიტიკის მუდმივი პრობლემაა, რომელსაც დამატებით ართულებს ისეთი სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მიზნები, როგორებიც არიან რუსეთი და შეერთებული შტატები. მაგალითად, ვაშინგტონის პოლიტიკა სომხეთის მიმართ დიდწილად ნაკარნახევია კონგრესის მიერ, თანაც ამერიკაში მილიონამდე სომეხი ცხოვრობს, რომლებიც ძლიერ შიდა პოლიტიკურ ლობს ქმნიან. მეორეს მხრივ ამერიკას აზერბაიჯან-

ული პოლიტიკაც აქვს და მისი მხარდამჭერები სამხედროებს და ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენელებს შორის, აზერბაიჯანს ნავთობის და გაზის წყაროდ, ასევე ავღანეთში საჰაერო გზით ტვირთის გადატანისთვის სატრანზიტო ქვეყნად განიხილავენ. ამას ემატება ვაშინგტონის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელიც ერთ დროს პრეზიდენტ ბუშის „დემოკრატიზაციის პროგრამის“ საუკეთესო ექსპონატი იყო. პრობლემა ის არის, რომ ვაშინგტონში ამიერკავკასიას ფაქტობრივად ერთიან რეგიონად არავინ არ განიხილავს, სადაც არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები და უსაფრთხოების პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო რეგიონალურ ჭრილში უკეთესია.

ხოლო კავკასიაში გარდაქმნების განხორციელებისთვის ყველაზე პერსპექტიულ წყაროებს, კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ეს წყარო რეგიონის მოსახლეობაა, რომელიც მცირე ბიზნესით და ვაჭრობით არის დაკავებული. ხშირად ეს ადამიანები კავკასიის ფარგლებს გარეთ მუშაობენ და საკუთარ რეგიონს არ ამდიდრებენ. მცირე ბიზნესის წარმომადგენლები არად აგდებენ არც საზღვრებს, არც ეთნიკურ სხვაობას, არც მითიურ „საუკუნეობრივ მტრობას“, რაზეც ზოგჯერ პოლიტიკოსები ალაპარაკდებიან ხოლმე, რომლებსაც მხარდამჭერების მოპოვება და შუღლის გაღვივება სურთ. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამიერკავკასიის სამშვიდობო პროექტებზე მილიონობით დოლარი დახარჯეს, მაგრამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ყველაზე ეფექტურ კატალიზატორად ორი აბსოლუტურად სპონტანურად წარმოქმნილი საბითუმო ბაზარი იქცა.

ერთ-ერთი ასეთი ბაზარი, სამხრეთ-ოსეთის და საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ ერგნეთთან მდებარეობდა. ქართველები და ოსები, ფაქტობრივად ყველაფრით ვაჭრობდნენ – ავტომობილებით დაწყებული, ასანთით დამთავრებული და ამ ბაზრით მიღებული მოგება სამხრეთ-ოსეთს ათი წლის განმავლობაში ასულდგმულებდა. მეორე ბაზარი, სადახლოს დასახლებაში, საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ახლოს და ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში მყოფი ორივე ქვეყნის კომერსანტებისთვის გადასატვირთი პუნქტის ფუნქციას ასრულებდა. სამწუხაროდ დღეს ორივე ბაზარი დახურულია, მაგრამ დასკვნა ასეთია: რეგიონში, მიუხედავად ყველაფრისა დინამიკური ინდივიდები ცხოვრობენ, და არამხოლოდ ერთმანეთთან მებრძოლი ჯგუფები.

რაც შეეხება დასავლელ პოლიტიკოსებს, ჩემი აზრით მათ ყოველ ჯერზე, როდესაც ისინი ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევას გადაწყვეტენ,

საკუთარ თავს ორი კითხვა უნდა დაუსვან: „ხელს შეუწყობს თუ არა ჩემი ქმედებები საზღვრების გახსნას და იზოლირებული რეგიონის გათავისუფლებას?“ და „დავეხმარები თუ არა მე უბრალო ადამიანებს, თუ მხოლოდ სახელმწიფოებს?“

სექტემბერი 15, 2010 - http://foreignpress.ge/?p=14798

საომარი სივრცე: მშვენიერი, ნაომარი რეგიონი

The Economist

კავკასია: შესავალი/თომას დე ვაალი

შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ეს სივრცე, მშვენიერი, ნაყოფიერი და მთიანი, უამრავი ომის მიზეზი გამხდარა. სულ ახლახანს ასეთი ომი 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის მოხდა. ეს არც იყო გასაოცარი: თვეების მანძილზე გრძელდებოდა უკიდურესი დაძაბულობა პრო-რუსული ანკლავების, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გამო, მაგრამ როგორც თომას დე ვაალი აღნიშნავს, კავკასიაში ყველა ომი წარსულსაც უკავშირდება და აწმყოსაც. ამიტომ იმისთვის, რომ რეგიონის არსს ჩასწვდე, მისი ისტორია უნდა იცოდე

დე ვაალი, ყოფილი ჟურნალისტი (ერთ დროს ის The Economist-ისთვისაც წერდა) ახლა ვაშინგტონში, ორგანიზაციის Carnegie Endowment for International Peace-ის კავკასიის ექსპერტია. უფრო კონკრეტულად კი ის აზერბაიჯანისა და სომხეთის, ასევე ჩეჩნეთის სპეციალისტია. სწორედ ამ თემებს მიეძღვნა მისი წინა ორი წიგნი. საწყენია რომ მან თავის ბოლო წიგნში ადგილი ვერ დაუთმო ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ-კავკასიას, რომელიც დღემდე რუსეთის ყველაზე სახიფათო და არასტაბილურ რეგიონად რჩება, მაგრამ როგორც ცხადი და ლაკონური გზამკვლევი სამხრეთ-კავკასიის ქვეყნებში, ამ წიგნზე უკეთესის მოძიება რთული იქნებოდა.

ავტორი რეგიონის ზოგად ისტორიას მოკლედ აღწერს, მაგრამ მაინც პოულობს განსაკუთრებულ მომენტებს (კავკასია ამაყობს იმით, რომ აქ მსოფლიოს ენათა ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა, აზერბაიჯანი 1900 წელს მსოფლიოში ნავთობის ყველაზე დიდი მომპოვებელი ქვეყანა იყო), მაგრამ თხრობა მართლაც გაგიტაცებთ იმ მომენტიდან, როდესაც რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ, სამ ამიერკავკასიურ რესპუბლიკას ხანმოკლე დამოუკიდებლობა მოუტანა. ბოლოდროინდელ მოვლენათა

გათვალისწინებით, შთამბეჭდავია იმის აღმოჩენა, რომ მენშევიკურმა საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის შემოსაერთებლად 1918 წელს სასტიკი ომი გადაიტანა, თუმცა საბოლოოდ წითელმა არმიამ დაიბრუნა კონტროლი და სამივე რესპუბლიკა სწაბჭოთა კავშირის ნაიწლი გახდა.

მართალია სტალინი ქართველი იყო, მაგრამ რეგიონი მის სისასტიკეს ვერ გადაურჩა., თუმცა საბჭოთა კავშირის უმეტეს რესპუბლიკებთან შედარებით, კავკასიის გამოცდილება არც ისე ცუდი იყო, რადგან ის ძირითადად გადაურჩა მეორე მსოფლიო ომს, ხოლო მოგვიანებით ელიტის საყვარელ სივრცედ იქცა. უცნაურია, მაგრამ რუსეთის სამ უკანასკნელ საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს დედაქალაქ თბილისთან აქვს კავშირები (დღეს მოქმედი მინისტრის, სერგეი ლავროვის დედა აქაური სომეხია). სამწუხაროა, მაგრამ ამის გამო რუსეთი საქართველოსადმი უფრო მეგობრულად განწყობილი არ გამხდარა.

ბევრი დღევანდელი პრობლემა სათავეს საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან, 1990-იანი წლებიდან იღებს. აქაური ინტელინგეციის ზოგიერთი წარმომადგენლის წაქეზებით, ნაციონალიზმმა იფეთქა, რაც საქართველოს შიგნით და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომების მიზეზი გახდა. მათი შედეგია დღევანდელი გაყინული კონფლიქტები აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთსა და მთიან-ყარაბახში. დე ვაალი ამ ტერმინს სამართლიანად აკრიტიკებს: სამხედროები ყარაბახის ფრონტის ხაზზე ხშირად იღუპებოდნენ, ხოლო 2008 წლის ომმა დაადასტურა ის, რომ გაყინული კონფლიქტები რამდენად მალე შეიძლება მივიდეს დუღილის წერტილამდე.

დე ვაალი ხაზს უსვამს დასავლეთის უგულისყურობას. 1990-იან წლებში, მუიხედავად იმისა რომ ის დაინტერესებული მხარე იყო, რუსეთს ხელში ჩაუგდეს საზავო შეთანხმების მეთვალყურეობა და სამშვიდობო ძალების უზრუნველყოფა. ათი წლის შემდეგ დასავლეთმა ჭკუა დაკარგა მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოს ”ვარდების რევოლუციის” გამო, ქვეყნის ნატო-ში მიღებაზე ალაპარაკდა, მაგრამ ვერ შესძლო სააკაშვილის დახმარება მაშინ, როდესაც მან ზედმეტად ბევრი აიღო თავის თავზე და 2008 წლის კატასტროფული ომის პროვოცირება მოახდინა. დასავლეთმა ახლაც არ იცის, რა მოიმოქმედოს. საუბრები ნატო-ს გაფართოვებაზე შეჩერდა, ბრიუსელში აღარავინ ფიქრობს მებრძოლი რესპუბლიკების ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზეც კი.

შესაძლოა ყველაზე კარგი მათთვის ის იყო, რომ თავისი ხანგრძლივი ისტორიიდან გარე ძალების ჩარევასთან დაკავშირებით დასკვნები გააკეთონ და საკუთარ თავს მიხედონ. აი აქ დე ვაალი მიხეილ სააკაშვილისადმი მცირეოდენ უსამართლობას იჩენს. როგორც ომმა აჩვენა ის ჯიუტი და ავტოკრატულია, მაგრამ მან საქართველოს მოდერნიზება განახორციელა და რეფორმები ჩაატარა, თავიდან მოიცილა საბჭოთა მემკვიდრეობის ნარჩენები. თუ სომხეთი და აზერბაიჯანი მას მიბაძავენ, კავკასიას ჯერ კიდევ შეუძლია კეთილდღეობას მიაღწიოს – ეს კი დანამდვილებით მისი ფესვმოკიდებული კონფლიქტების გადაწყვეტის საუკეთესო გზაა.

ოქტომბერი 22, 2010 - http://foreignpress.ge/?p=15294

სი-ჯეი ჩივერსი. არასტაბილური კავკასია - ფრთხილი და მშვიდი შეფასება

The New York Times

თომას დე ვაალი ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ექსპერტი იმ შფოთიანი პოლიტიკისა და მწვავე კონფლიქტებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის ქედთან დუღს, ცაში აზიდულ ამ მთებს "დიდებულ თაღს" უწოდებს, ისეთს, რომელიც ერთდროულად კოლოსალური ღირშესანიშნაობაცაა და ძლევამოსილი ბარიერიც".

ეს კარგად გამოხატული მოსაზრებაა. თოვლით დაფარული ეს მწვერვალები, რომლებიც რუსეთის სამხრეთით აღმართულა და თურქეთს, ირანს, შავ და კასპიის ზღვებს გადაჰყურებს, ყველა თვალსაზრისით ბარიერია, იქნება ეს ტრანსპორტის მოძრაობა, ვაჭრობა, განვითარება, სამხედრო ქმედებანი, ურთიერთობათა აღდგენა, თუ გარე სამყაროსთან უმტკივნეულო ინტეგრაცია. მთის ხალხისა და მათი წარსულის მრავალფეროვნება, მათი განაწყენებისა და უკმაყოფილების სიღრმე, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს და რომელსაც რესურსებისა და პოზიციისთვის პაექრობაც ამწვავებს, მართლაც ქმნის ბარიერს გაგებისათვის.

აი ამ თემას შეეხო დე ვაალი თავის კომპაქტურ, მაგრამ მდიდარ წიგნში "კავკასია: შესავალი", სადაც კავკასიის მთების სამხრეთ ნაწილს განიხილავს. ამ სივრცეში მწვავე პრობლემები სამ პატარა პოსტ-საბჭოთა

ქვეყანას, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს მძიმე დარტყმას აყენებს.

სამივე ქვეყნა ე.წ. "გაყინულმა კონფლიქტებმა" მოიცვა. ეს კონ-ფლიქტები იმ სამი ომის მემკვიდრეობაა, რომელბიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტერიტორიული და ეთნიკური თვითგამორკვევის გამო გაჩაღდა და გზა გაუხსნა მყიფე ჩიხურ სიტუაციებს, ეს კონფლიქტები კი ჯერაც გადაუწყვეტელი რჩება. (ჩეჩნეთის ომები, რომლებიც მთების ჩრდილოეთით მიმდინარეობდა, თუმცა ხანდახან მისი საცეცები სამხრე-თითაც აღწევდა, ამ დისკუსიაში განზრახაა გამოტოვებული). 2008 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრო-რუსულ ანკლავზე, სამხრეთ ოსეთზე შეტევის განხორციელების ბრძანება გასცა, ხოლო რუსეთი სამხედრო ძალით შემოიჭრა საქართვე-ლოში და თბილისს, საქართველოს დედაქალაქს მიუახლოვდა, მსოფ-ლიომ დაინახა, თუ რა მალე შეიძლება გაყინული კონფლიქტები ცხლად იქცეს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები არა მხოლოდ ეთნიკური, რელიგიური, სეპარატისტული ან თუნდაც სულელური ძალადობის წყაროს წარმოადგენენ. ისინი ამავე დროს იმ ენერგეტიკული დერეფნში არიან განლაგებულნი, რომელსაც ნახშირწყალბადი ბაზრებამდე მიაქვს და იმ უიღბლო საჭადრაკო დაფის სათავეშიც მდებარეობენ, რომელიც პოსტ-ცივი-ომის სათამაშო სივრცედ ქცეულა.დე ვაალმა კარგად იცის, რომ ისინი ძალიან საინტერესონი არიან თავისთავად, იმ კუთხეები რეგიონისა, რომელიც ბევრად უფრო მომხიბლავია, ვიდრე მისი პოლიტიკაც კი.

თუ ოდესმე არსებულა ადგილი, რომელსაც კომპეტენტური და გაწონასწორებული მრჩეველი სჭირდება, ეს სწორედ ის ადგილია. დე ვაალი ერთ-ერთ მათგანია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და კრემლმა დაკარგა მართვის სადავეები კავასიის რეგიონზე, დე ვაალმა, რომელიც ამჟამად ამჟამად ორგანიზაციაში Carnegie Endowment for International Peace-ში ექსპერტის ფუქნქციებს ასრულებს, აქ გარე სამყაროს ნებისმიერ წარმომადგენელზე ხშირად იმოგზაურა და აქაურობაზე ყველაზე მეტი დაწერა.

მხოლოდ მოგზაურობა საკმარისი არ არის. ძალიან ბევრი ჩამოსულა კავკასიაში და უკან მაინც ვიწრო თვალსაწიერით დაბრუნებულა. კავკასიური სტუმართმოყვარეობა ამის თითქმის სრული გარანტიას იძლევა. მხოლოდ ერთ ჯგუფთან დაახლოება, ამ ერთი ჯგუფის თვალთახედვის გაზიარებას მოიტანს შედეგად. იმისთვის, რომ

კავკასია უფრო სრულყოფილად აღიქვა, ყველა მხარეს უნდა მოუსმინო. ამაშია დე ვაალის ძალა. ის მსმენელია და კითხვებსაც მშვიდად სვამს. მოგზაურობებმა და რეგიონის ხანგრძლივმა შესწავლამ მას ბევრ ბანაკში გაუჩინა მეგობარი, შეაიარაღა ის ისეთი საფუძვლიანი მგრძნობელობით, რომელიც მოიცავს კავკასიის კომპლექსურობას, მოთმინებას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისას, ნაცვლად საკითხის სწრაფად გამოსწორების ცდუნებისა.

მისი წიგნი შეიცავს ისტორიას და ცოდნაზე დაფუძნებულ განსაკუთრებულ სტილს.

”სომხები, მცირეოდენი გაზვიადებით აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა სამხრეთ კავკასიის პატარა, პროვინციულ ქალაქში, 1988 წელს 20 თებერვალს დაიწყო. ეს ის დღე იყო, როდესაც სტეპანაკერტში, მთიანი ყარაბახის, ავტონომიური რეგიონის დედაქალაქში, რეგიონულმა საბჭომ ხმა მისცა საზღვრების შეცვლას და იმ ტერიტორიის, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანს ეკუთვნოდა, სმოხეთისათვის გადაცემა მოითხოვა. ეს კენჭისყრა იქცა პირველ ლოდად იმ ზვავში, რომელმაც საბჭოთა კავშირის მრავალნაციონალური კონსტრუქცია აღგავა”.

მაგრამ კენჭისყრა აგრეთვე სომხურ-აზერბაიჯანული ომის მიზეზიც გახდა.

კავკასია არასდროს განიცდიდა მონდომებული მაცნეების ნაკლებობას, რომლებიც რეგიონს და მის სამომავლო ამბიციებს წინააღმდეგობრივ ვარიანტებს სთავაზობდნენ. დე ვაალი სულაც არ არის რეგიონში მოქმედი გავლენიანი შუამავალი, რომელსაც ამისთვის ხელფასს უხდიან. ის არც რეგიონის ერთ რომელიმე მხარეს ერთგულებს, არც რომელიც კონკრეტულ პროგრამას, თუ გეგმას მაგალითად, ნატოში ინტეგრაციას, არც რუსეთისა ან დასავლეთის ახალ მილსადენებს, არც რეგიონის რომელიმე მებრძოლი ოპოზიციური მოძრაობის საარჩევნო პერსპექტივებს უჭერს მხარს. გასაოცარია, თითქმის გამაოგნებელი კავკასიაზე ასე მშვიდი, მოზომილი მსჯელობის ხილვა.

სწორედ ამიტომ, „კავკასიას: შესავალი“ დიდი ხნის სიცოცხლე ელის. რატომ? იმიტომ, რომ 1990 წელს დაწყებული ომები არ დამთავრებულა. დე ვაალის წიგნი ახლაც მისასალმებელია და ძალიან სასარგებლო, ხოლო თუ რომელიმე ომი ისევ იფეთქებს ის, უმნიშვნელოვანესი გახდება.

<u>ორიგინალი</u> - 6th, 2010 - <u>http://foreignpress.ge/?p=15054</u>